



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020173882290921

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

# 22/1178

10 / მარტი / 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (440 000 მ<sup>3</sup>/წელიწადში, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID\_19278\_51002, 22.01.2021 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (2 შახტური ჭა) მდებარეობს ზღვის დონიდან 45 მეტრის სიმაღლეზე, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

წიალით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადანყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.


დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. shape ფაილი

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე

## გეოსაინფორმაციო პაკეტი

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი												
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.												
2	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა												
2.1	რეგიონი – იმერეთი												
2.2	მუნიციპალიტეტი – ვანი												
2.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. სალხინო.												
2.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. ვანიდან 3-4 კმ.												
2.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – აღემატება 10 კილომეტრს												
2.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. რიონის აუზი												
2.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები – <table border="1" data-bbox="571 689 1008 846"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>296879.1438</td> <td>4663807.2055</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>296871.3263</td> <td>4663882.4751</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	№	X	Y	1	296879.1438	4663807.2055	2	296871.3263	4663882.4751	WGS 1984		
№	X	Y											
1	296879.1438	4663807.2055											
2	296871.3263	4663882.4751											
WGS 1984													
2.8	ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – ≈ 45 მ												
2.9	კლიმატური პირობები – რაიონის კლიმატი ტენიანია, ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული მუსონური ქარებითა და მაქსიმალური რაოდენობის ნალექებით ზაფხულსა და შემოდგომაზე. ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა შეადგენს 1000-1400 მმ. რაიონში ქარი ძირითადად უბერავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, საშუალო სიჩქარეა 2-4 მ/წმ. ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურა მერყეობს +18°C-დან +19°C-მდე ფარგლებში.												
3	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები												
3.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – აღემატება 15 მეტრს.												
3.2	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –												
3.3	დამატებითი მონაცემები –												
4	სატყეო რესურსები												
4.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.												
4.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.												
5	წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია												
5.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ნაპრაღური წყლების												

	აჭარა-იმერეთის წყალწნევიანი სისტემა.
5.2	წყალშემცველი პორიზონტი – თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი, რომელიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, ქვიშებით, თიხნარის და თიხის შუაშრებით და ლინზებით.
5.3	ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – სალიცენზიო ობიექტის (2 ჭა) სიღრმეებია 8-10 მეტრი.
6	<b>მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება</b>
6.1	ქიმიური შედგენილობა – კომპლექსის წყლები ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატული კალციუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია მერყეობს 0,3-დან 0,5 გ/ლ-მდე. წყლებს ახასიათებს ცვალებადი სიხისტე.
6.2	სანიტარიული მდგომარეობა – კომპლექსის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.3	ტემპერატურა – 11-16°C
6.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის დაბიების ხარისხი (სტადია) – ვანის ტერიტორია შესწავლილია ჰიდროგეოლოგიური ძიების სტადიაზე.
6.5	წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი – სალიცენზიო ობიექტის (2 შახტური ჭა) ზუსტი დებიტები უცნობია, მაგრამ პორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ლიცენზიანტის მიერ მოთხოვნილი 440000 მ <sup>3</sup> /წელიწადში წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.
6.6	მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) - წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის.
6.7	სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის – <ol style="list-style-type: none"> <li>1. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება მიწისქვეშა წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმიურ შედგენილობაზე;</li> <li>2. მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა 3 წლის ვადაში უნდა შეადგინოს მიწისქვეშა წყლის საექსპლუატაციო მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა;</li> <li>3. ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს საბადოს სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა და პროექტის შედგენა;</li> <li>4. ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მიწისქვეშა წყლის მუდმივი ჰიდროქიმიური და რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.</li> </ol>
6.8	დამატებითი მონაცემები –
7	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება</b>
7.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (2 შახტური ჭა), რომელიც წარმოდგენილია ორ უბნად, მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე რიონის მარცხენა ჭაღისზედა პირველ ტერასაზე. ობიექტის ტერიტორია პორიზონტალური რელიეფის მქონეა, ურბანიზებულია და ათვისებულია სამეწარმეოდ გათვალისწინებული სამუშაოების გამოყენების მიზნით.
7.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – სალიცენზიო ობიექტის უბნების გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექები.

	საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
7.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლინამიკური სიტუაცია – სტაბილურია.
7.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – არ არის მოსალოდნელი.
7.5	გეოლინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს.
7.6	დასკვნები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> <li>1. სალიცენზიო ობიექტი (2 შახტური ჭა), რომელიც წარმოდგენილია ორ უბნად მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტის, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორიაზე;</li> <li>2. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას;</li> <li>3. სალიცენზიო ობიექტი (2 შახტური ჭა) ორივე უბანზე თავმორთულია ძველი რკინა-ბეტონის თავსახურებით, რაც უნდა შენარჩუნდეს ექსპლუატაციის ბოლომდე;</li> <li>4. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება მიწისქვეშა წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმიურ შედგენილობაზე;</li> <li>5. მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა 3 წლის ვადაში უნდა შეადგინოს მიწისქვეშა წყლის საექსპლუატაციო მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა;</li> <li>6. ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს საბადოს სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა და პროექტის შედგენა;</li> <li>7. ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მიწისქვეშა წყლის მუდმივი ჰიდროქიმიური და რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;</li> <li>8. 3 - 7 პუნქტების გათვალისწინებით სალიცენზიო ობიექტის (2 შახტური ჭა) ორივე უბნიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.</li> </ol>
8	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – თ. ლაზარაშვილი და სხვები
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1990 წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № - 18382

**შემსრულებლები:**

ს. მკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, ნ. ზაურაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. ბუცხრიკიძე, მ. გუგუშაშვილი.

**შეთანხმებულია:**

სასარგებლო წიაღისეულის მართვის  
 დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი

296000

297000

298000


**K-38-62-B- a**

ნომენკლატურის 1:10 000 მასშტაბის  
ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

ლიცენზიის № \_\_\_\_\_

4664000

4664000



4663000

4663000

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. საღხინოს  
შიმდეზარე ტერიტორიაზე  
სასარგებლო წიაღისეულით (წყალი)  
სარგებლობის ობიექტის კოორდინატი

№	X	Y
1	296879.1438	4663807.2055
2	296871.3263	4663882.4751
<b>WGS 1984</b>		

296000

297000

298000